სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

21 აგვისტო, 2025 წ.

წარმომადგენლობითი საბჭოს
გადაწყვეტილება №07-01/23

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებით დამტკიცებული ბსუ-ს წესდების მე-10 და 56-ე მუხლების, ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0000937448, 31.07.2025), ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 1 თებერვლის №06-01/12 დადგენილებაში **ცვლილების** შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2025 წლის 01 აგვისტოს N06-01/72 დადგენილების,** წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/07 21.08.2025წ.) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. ბსუ-ს **აკადემიური პერსონალის** სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის №07-01/12 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, გადაწყვეტილების **N1 დანართის (წესის):**

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის (პროფესორის თანამდებობაზე **უვადოდ** არჩევისათვის დადგენილი მოთხოვნების ნაწილში) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს ჩანაწერი მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის განხორციელებაზე და **საბოლოოდ მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი.“.

ბ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის 3.1. ქვეპუნქტის (2026-27 სასწავლო წლიდან პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით არჩევისათვის დადგენილი

მოთხოვნების ნაწილში) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს ჩანაწერი მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის განხორციელებაზე და **საბოლოოდ 3.1. ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** არის დაფინანსებული სამაგისტრო/ სადოქტორო სამეცნიერო საგრანტო პროექტის კონსულტანტი **ან** მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი.“.

გ) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის 3.2. ქვეპუნქტის (**2025-26** სასწავლო წლის **ჩათვლით** პროფესორის თანამდებობაზე 6 წლის ვადით არჩევისათვის დადგენილი მოთხოვნების ნაწილში) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს ჩანაწერი მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის განხორციელებაზე და **საბოლოოდ 3.2. ქვეპუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი **ან** ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი.“.

დ) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის (ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე არჩევისათვის დადგენილი მოთხოვნების ნაწილში) „გ“ ქვეპუნქტს დაემატოს ჩანაწერი მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევის განხორციელებაზე და საბოლოოდ **„გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო/არის დაფინანსებული სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი ან ბოლო 5 წლის განმავლობაში არის დასაფინანსებლად წარდგენილი, მაღალი შეფასების მქონე (80% და მეტი) სამეცნიერო საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი/შემსრულებელი ან მედიცინის მიმართულებით იყო/არის კლინიკური კვლევის ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი.“.

ე) მე-4 მუხლის („მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა“) **მე-3 პუნქტის** (რომელიც ეხება **მატერიალური** სახით საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენას) „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ **დაემატოს „ვ[1]“** ქვეპუნქტი და **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ვ[1]) მედიცინის მიმართულებით **განსახორციელებელ (ან ჩატარებულ)** კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის (ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევარის/მკვლევარის პოზიციაზე) **დამადასტურებელი ცნობა;“.**

ვ) მე-4 მუხლის („მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა“) **მე-6 პუნქტის** (რომელიც ეხება მატერიალური სახით საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენას) „ზ“

ქვეპუნქტის შემდეგ **დაემატოს „თ“** ქვეპუნქტი და **ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„თ) მედიცინის მიმართულებით **განსახორციელებელ (ან ჩატარებულ)** კლინიკურ კვლევაში მონაწილეობის (ხელმძღვანელის/მთავარი მკვლევარის/მკვლევარის პოზიციაზე) **დამადასტურებელი ცნობა** (გაცემული კლინიკური კვლევის განმახორციელებელი დაწესებულების (კლინიკის) ხელმძღვანელის (უფლებამოსილი პირის) მიერ).“;

ზ) მე-4 მუხლის („მუხლი 4. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენა“) მე-10 პუნქტის **10.5. ქვეპუნქტის** („სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა - **III** ჯგუფი“) „ვ“ ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება, დაემატოს ჩანაწერი მედიცინის მიმართულებით კლინიკური კვლევების შესახებ და საბოლოოდ **„ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
„ვ) მიმდინარე/დასრულებული **საგრანტო პროექტები** (ბოლო ხუთი წლის მონაცემები, არაუმეტეს ხუთი) - საგრანტო პროექტის სათაური; ჩართული ძირითადი პერსონალი; სტატუსი პროექტში; დამფინანსებელი ორგანიზაცია; დაწყება-დასრულების თარიღი; პროექტის ტიპი (საერთაშორისო/ეროვნული/ ბსუ-ს შიდა მიზნობრივი/); პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებული სტატია **ან/და მედიცინის მიმართულებით** <u>ბოლო **ხუთი** წლის</u> პერიოდში **განსახორციელებელი (ან ჩატარებული) კლინიკური კვლევები** კონკურსანტის მონაწილეობით (პოზიცია კვლევაში: ხელმძღვანელი/მთავარი მკვლევარი/მკვლევარი), **კვლევის მიმართულების/შედეგის მითითებით;“;**

2. გადაწყვეტილება და **კოდიფიცირებული** <u>„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი“</u> განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ნორმატიულ აქტების ველში, ასევე 2025 წლის სექტემბერში ჩასატარებელი აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების ველში).
3. წინამდებარე გადაწყვეტილების გათვალისწინებით გამოიცეს **ბსუ-ს რექტორის ბრძანებებში** (1. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის მონაწილე კონკურსანტის ელექტრონული საკონკურსო განაცხადის (ანკეტა) ფორმის დამტკიცების თაობაზე“ **2024 წლის 02 ივლისის N01-02/108 ბრძანებაში** და 2. „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2025 წლის 22 ივლისის N01-02/149 ბრძანებაში) ცვლილებების შეტანის თაობაზე** ბსუ-ს რექტორის ბრძანებები და შესაბამისად, **შეიცვალოს** ბსუ-ს რექტორის 2025 წლის სექტემბერში ჩასატარებელი ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ 22.07.2025 წ. განცხადების ტექსტი.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი ჯემალ კარალიძე